

"უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საკითხები პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს"



იუსტიციის მინისტრის აზრით უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საკითხები მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრო კანონპროექტს „საერთო სასამართლოების შესახებ“ დეტალურად გაეცნობა და

მოსაზრებებს სამუშაო ჯგუფის პირობებში წარადგენს.

„ძალიან ძნელია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი საკითხი განიხილებოდეს მხოლოდ ექსკლუზიურად პოლიტიკურ ჭრილში. ეს არ არის ჯანსაღი. არამხოლოდ სამართლიანობისთვის არის ცუდი, არამედ ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვისაც და არასამთავრობო სექტორისთვის, როდესაც კანონპროექტზე მსჯელობა, როგორ უნდა გაგრძელდეს რეფორმა, არის მხოლოდ პოლიტიკური დებატის ფორმა და სხვა სივრცე არ რჩება მუხდობრივი განხილვისა და პროფესიულად მსჯელობისთვის“, – განაცხადა თეა წულუკიანი.

შეგახსენებთ, საქართველოს პარლამენტის ცხრა დეპუტატმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები მოამზადეს. ცვლილებების გათვარისწინებით, რაიონურ და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა უვადოდ განწესება 2024 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შეჩერდეს. კანონპროექტს ხელს აწერენ დეპუტატები: ეკა ბესელია, ზვიად კვაჭანტირაძე, ადელსანდრე ერქვანია, გედევან ფოფხაძე, კობა ნარჩემაშვილი, დევან გოგიჩაიშვილი, დევან კობერიძე, დავით ჭიჭინაძე და ოთარ ჩრდილელი.